ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი
Austrian Georgian Development

AGD.Cor.out-191003-69
Date: 03.10.2019

საქართველოს გარემოს დაცვისა
და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი", სვანეთის რეგიონში, მესტიის მუნიციპალიტეტში, მდინარე ენგურისა და მდინარე ნენსკრას ხეობებში გეგმავს „ლახამი-საგერგილას 35 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის" განხორციელებას. მიმდინარე წლის 15 ივლისს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი"-ს „ლახამი-საგერგილას 35 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე" გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-659).

თავდაპირველად პროექტით იგეგმებოდა 35კვ. სიმძლავრის 4020 მ. სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, სადაც საპროექტო ხაზის ნაწილი მოიცავდა მიწისქვეშა ელექტროგადამცემ ხაზს (სიგრძით 1550 მ.) და მიწისზედა საჰაერო ნაწილის (2470 მ.) განთავსებას ფოლადის ანძებზე (საერთო რაოდენობით 13 ცალი).

ზემოაღნიშნული პროექტის გზშ-ს ანგარიშის განხილვის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი გარემოება - საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის მონაკვეთზე სხვადასხვა კომპანიის ელექტროგადამცემი ხაზის და ქვესადგურის საპროექტო დერეფანი კვეთდა ერთმანეთს. შესაბამისად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, მოთხოვნილ იქნა დაინტერესებულ მხარეებს შორის შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, რომლის მიხედვით მოხდებოდა ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურის შეთანხმებულად მოწყობა-ექსპლუატაცია.

სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე, შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი"-ს, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-სა და შპს „ნენსკრა ჰიდრო"-ს შორის მიმდინარე წლის 18 ივნისს გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი.
აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე მოხდა ლახამი ჰესისთვის განკუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის ნაწილობრივი ცვლილება და მიწისქვეშა საკაბელო ტრასის

შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი"
მის.: ქ. თბილისი, კ. ხეთაგუროვის ქ. # 36
საიდ. კოდი : 404997232
ტელ.: + 995 32 2200 036
ელ.- ფოსტა: info@agd.com.ge

"Austrian Georgian Development" LLC
Address: 36 K. Khetagurovi Str., 0102 Tbilisi, Georgia
Tax Code: 404997232
Tel: + 995 32 2200 036
E-mail: info@agd.com.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 14192
04.10.2019
3/CD
02

მაგივრად დაიგეგმა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა (ამ მონაკვეთის მშენებლობა აღწერილია შპს „კავკასენერგო"-ს სკოპინგის ანგარიშში, რომელზეც 2019 წლის 13 აგვისტოს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ გაცემულია ბრძანება N 2-776).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი"-ს მიერ განხორციელდა პროექტის ცვლილება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული 1550 მ. სიგრძის საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის ნაცვლად განახორციელდეს 52 მ. სიგრძის მიწისქვეშა საკაბელო ხაზის და 1538 მ. სიგრძის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა. აღნიშნულისთვის საჭირო იქნება 5 (110 კვ. გაბარიტებში) მაღალი ძაბვის ანძის განთავსება და მასზე 35 კვ. სიმძლავრის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის დაერთება.

პროექტი განეკუთვნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართის 3.4 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას (35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, 110 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის ქვესადგურის განთავსება), ასევე, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა, შესაბამისად იგი ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი"-ს მიერ წარმოდგენილი იქნა „ლახამი-საგერგილას 35 კვ -იანი ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების" სკრინინგის განცხადება და ანგარიში, რომელიც მომზადებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე.

მოგმართავთ თხოვნით განიხილოთ წარმოდგენილი ანგარიში და გასცეთ სკრინინგის გადაწყვეტილება მესტიის მუნიციპალიტეტში, შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი"-ს „ლახამი-საგერგილას 35 კვ -იანი ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების" საქმიანობაზე.

შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი"
მის.: ქ. თბილისი, კ. ხეთაგუროვის ქ. # 36
საიდ. კოდი : 404997232
ტელ.: + 995 32 2200 036
ელ.- ფოსტა: info@agd.com.ge

"Austrian Georgian Development" LLC
Address: 36 K. Khetagurovi Str., 0102 Tbilisi, Georgia
Tax Code: 404997232
Tel: + 995 32 2200 036
E-mail: info@agd.com.ge

წერილს თან ერთვის:

- სკრინინგის ანგარიშის ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია - 1 ეგზემპლარი;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - 1CD;
- ხე-ტყის აღრიცხვის მასალების ელექტრონული ვერსია.

პატივისცემით
გიორგი აბრამიშვილი

გენერალური დირექტორი

შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი"
მის.: ქ. თბილისი, კ. ხეთაგუროვის ქ. # 36
საიდ. კოდი : 404997232
ტელ.: + 995 32 2200 036
ელ.- ფოსტა: info@agd.com.ge

"Austrian Georgian Development" LLC
Address: 36 K. Khetagurov Str., 0102 Tbilisi, Georgia
Tax Code: 404997232
Tel: + 995 32 2200 036
E-mail: info@agd.com.ge